ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

11 აპრილი
ხუთშაბათი
2024 წელი
№15 (9329)
ფასი 40 თეთრი

გადაუხდელი ვალები ჩამოეწერათ

ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებს სრულად ჩამოეწერებათ 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება მათზე დარიცხული საურავების ჩათვლით.

როგორც კი მივიღებთ ამ კანონპროექტს 145 ათას ფიზიკურ პირს სრულად ჩამოეწერება ჯამში 590 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება. შესაბამისად, 145 ათას ჩვენს თანამოქალაქეს საშუალება ექნება, აქტიურად ჩაერთოს ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ეკონომიკის განვითარებასაც წაადგება, განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ.**

ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობა

35 წლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული აქცია, მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევით დასრულდა, რასაც 21, სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ასობით ადამიანი კი დაშავდა. 9 აპრილი მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა. ბორჯომში აღნიშნული დღე გარდაცვლილთა პატივსაცემი ღონისძიებებით აღინიშნა, დილის 11 საათზე ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებმა, კლასის ხელმძღვანელთან, ქალბატონ **ლია გულიკაშვილთან** და მშობლებთან ერთად, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს. აღნიშნულ მემორიალთან მოსწავლეებმა ტრაგიკულ დღეს გარდაცვლილი ადამიანების შესახებ ისაუბრეს, კიდევ ერთხელ გაგვახსენეს მათი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

12 საათიდან კი მემორიალთან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა - **გიორგი ფერაძემ** და **ჯუმბერ კურტანიძემ**, საკრებულოს დეპუტატებმა და რიგითმა მოქალაქეებმა 9 აპრილის მემორიალთან თავისუფლებისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს.

მამა იოანემ (ხეცურიანი) დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

13 საათზე კი ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა ბორჯომის ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას უმასპინძლა. სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა მაყურებლებს ლიტერატურული კომპოზიცია ,,ხეები იფარჩება წარმოუდგინეს“. რამდენიმე წუთის მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებოდა, როგორც 9 აპრილის ტრაგიკულ დღესათან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილი ცნობილი და ნაკლებად ცნობილ ავტორთა ლექსები, ასევე მათ გააცოცხლეს იმ ავტორთა შემოქმედებაც, რომელშიც ნათლად ჩანს ჩვენი წარსული ისტორიის ყველაზე ტრაგიკული პერიოდები.

ღონისძიებას თან ახლდა ცრემლი, სევდა, თუმცა ასევე დიდი სიამაყე იმისა, რომ კიდევ ერთხელ გაგვახსნეს ახალგაზრდებმა თუ ვისი გორისა ვართ და ქართველ ხალხს რომ გადაშენება არ უწერია.

ინფრასტრუქტურული პროექტები მასშტაბურია

მიმდინარე წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის შვიდ სოფელსა და ორ დაბაში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გზების რეაბილიტაცია დაგეგმილია შემდეგ სოფლებში: ***ტბაზე, სადგერში, ცემში, ყვიბისში, ანდეზიტში, ტაბანწყურში, პატარა მიტარბში, ბაკურიანსა და ახალდაბაში.***

მიმდინარე წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჯამში, 7,3 კმ. გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია განხორციელდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდება. დაგეგმილი პროექტების ფარგლებში, მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა და სანიაღვრე სისტემები, განხორციელდება მიერთებების და ეზოში შესასვლელების მოწყობა, საჭიროების მიხედვით მოეწყობა საყრდენი კედლები, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალებას მისცემს განახლებული და კომფორტული გზებით, გადაადგილდნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

სოფლის მხარდამჭერის პროგრამა - მოქმედებაში!

ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები დასრულდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სოფლების - დიდი მიტარბისა და პატარა მიტარბის მოსახლეობას შეხვდნენ.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მოსახლეობამ დასახლებებში არსებული საჭიროებები განიხილეს და ხმათა უმრავლესობით მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შეარჩიეს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოეყო, რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული 872 000 ლარი დაემატება. თითოეულმა სოფელმა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო.

ილია მეორე: ...ღმერთმა ინებოს, რომ სიხარული სუფევდეს საქართველოში

გილოცავთ ხარების დღესასწაულს. ღმერთმა ინებოს, რომ სიხარული სუფევდეს საქართველოში. - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ხარების დღესასწაულზე ქადაგებისას განაცხადა.

„როცა ვხვდებით ერთმანეთს, ჩვენ ვეუბნებით “გამარჯობაო“; ჩვენ უნდა ვუთხრათ “„გიხაროდენ“, - ასე იყო ძველად. სიხარული სუფევდეს საქართველოში და მთელ მსოფლიოში. ჩვენთან არს ღმერთი“, - განაცხადა პატრიარქმა.

7 აპრილს საქართველოს წმიდა მართმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იდღეESასწაულა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარადის ქალწულის მარიამის ხარების დღესასწაულის წარგზავნა.

7 აპრილს ჯვრის თაყვანისცემის - მესამე კვირიაკეც აღინიშნა.

მომლოცველნი თაყვანს სცემდნენ მინდვრის ყვავილებით შემკულ ჯვარს, ეამბორებოდნენ მას.

ამ წესით წმიდა ეკლესია შეგვაგონებს, რომ ჩვენ ხილულადაც ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინებას, მხნეობასა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღლელობის სიმბოლოს.

მაცხოვარმა ხომ ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთს!

გიული ლიპარტია

ერის გამრავლება კვლავ პრობლემაა!

წინა წელთან შედარებით საქართველოში შობადობა ხუთი პროცენტით შემცირდა!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 40 214 ბავშვი შეადგინა, მათ შორის 21 010 ბიჭი და 19 204 გოგო. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია ხუთი პროცენტით.

საქსტატის ცნობით, 2023 წელს დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა იყო თბილისში - 13 697 ბავშვი, ხოლო ყველაზე მცირე - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში - 226 ბავშვი.

უწყების ანგარიშის მიხედვით, ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2022 წელს, 2023 წელთან შედარებით, რიგით პირველი დაბადებულის წილი შემცირდა 39,1 პროცენტიდან 37,7 პროცენტამდე, მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა და შეადგინა 33,6 პროცენტი, ხოლო მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი გაიზარდა 26,6 პროცენტიდან 27,5 პროცენტამდე.

2023 წელს ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში, წინა წელთან შედარებით 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 26,5 პროცენტიდან 24,6 პროცენტამდე შემცირდა, 25-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის დედების წილი 69,6 პროცენტიდან 69,4 პროცენტამდე შემცირდა. ზრდა შეინიშნება 40 წლისა და უფროსი ასაკის დედებში. მათი წილი 4 პროცენტიდან 6 პროცენტამდე გაიზარდა. 2023 წელს, დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის დაბადებისას 26,7 წლით განისაზღვრა.

- 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 13 პროცენტით შემცირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 13.0 პროცენტით შემცირდა და 42 756 ერთეული შეადგინა. გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში - 12 229 კაცი, ხოლო ყველაზე ნაკლები - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში - 580 კაცი.

საქსტატის 2023 წლის მონაცემების მიხედვით, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტმა 8.2 პრომილე შეადგინა. 2023 წელს ხუთ წლამდე ასაკის გარდაცვლილთა კოეფიციენტმა 9.5 პრომილე შეადგინა.

უწყების ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს საქართველოში დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და -2 542 ერთეულით განისაზღვრა. ამასთან, უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ყველა რეგიონში, გარდა თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონისა.

საქსტატის ცნობით, 2023 წელს, რეგისტრირებულია 22 275 ქორწინება, რაც 14.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის შეადგენს 29.7 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის — 32.1 წელს.

2023 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 13 664 ერთეული შეადგინა, რაც 3.1 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

საქართველოში იძიდება 14 მედიკამენტი, რომელზეც ფასნამატი 300 პროცენტიდან 3000 პროცენტამდეა!

გამოიკვეთა 14 მედიკამენტი, რომელზეც ფასნამატი დაახლოებით 300%-დან 3000%-მდეა, ვახორციელებთ მოკვლევას, თუ რით არის ეს ფასნამატი განპირობებული. ჩვენი აზრით, მოკვლევის შედეგებს წლის ბოლოს გავასაჯაროებთ, - ამის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ **ირაკლი ლექვინაძემ** განაცხადა.

მისივე თქმით, ბოლო პერიოდში მედიკამენტების ფასებზე შეიმჩნევა ძალიან პოზიტიური ტენდენციები, ინფლაციის დაბალ მაჩვენებელში მედიკამენტების ფასების შემცირების წილი ძალიან მნიშვნელოვანია და არის მედიკამენტები საქართველოში, რომელიც 40%%+-დან 70+%-მდეა გაიაფებული.

,,დაახლოებით, 20 მედიკამენტზე გვქონდა მოწოდებული ინფორმაცია, რომ მათზე ფასნამატები იყო 300%-დან 3000%-ის ფარგლებში. ჩვენ დავიწყეთ აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი. გამოიკვეთა 14 მედიკამენტის ბაზარი და ის კომპანიები, რომლებსაც უჭირავთ ამ მედიკამენტების ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა, ანუ 40 პროცენტზე მეტი წილი. ასეთი დაახლოებით 8 კომპანიაა. ეს არის ძირითადად იმპორტიორი კომპანიები, რომლებსაც საქართველოში მაღალი მოთხოვნის მქონე მედიკამენტები შემოაქვთ. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რით არის ეს ფასნამატი განპირობებული, ხომ არ აქვს რაიმე ისეთ ფაქტორებს ადგილი, რომელიც ჩვენი მოქალაქეებისთვის ამ ტიპის მედიკამენტების მაღალი ფასით მიწოდებას უზრუნველყოფს. მოკვლევა ამას პასუხს გასცემს.

ბაგბასიის რეგიონალურ გარემოსდაცვით ცენტრში

29 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების საინფორმაციო ცენტრში“ გაიმართა თათბირი, რომელზეც ყურადღება გამახვილდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აგრარული ბიომრავალფეროვნების განვითარების ამოცანებზე“.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა საზედამხედველო კომიტეტი, რომლის წევრად აირჩიეს ბორჯომის მერის თანაშემწე სოფლის მეურნეობის საკითხებში თედო ბელიქიძე, რომელსაც ვესაუბრეთ ამ ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე.

ბატონო თედო, რას ითვალისწინებს პროექტი?

- პირველ რიგში მინდა მადლობა და პატივისცემა გამოვხატო რაიონის ხელმძღვანელის ბატონ ოთარ არბოლიშვილის მიმართ, რომელმაც ნდობა გამომიცხადა და ჩემი კანდიდატურა მიაწოდა კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების საინფორმაციო ცენტრს, რაც შეეხება კითხვას.

- პროექტი ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის აგრობიომრავალფეროვნების მდგრადი განვითარების მართვას.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა საზედამხედველო კომიტეტი. პროექტის ძირითადი ამოცანაა სამცხე-ჯავახეთის სოფლის მეურნეობის სექტორში აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენებისა და დაცვის ხელშეწყობა. მისი მიზანია, აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა საზედამხედველო კომიტეტი, რომლის შეხვედრები ითვალისინებს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას პროექტის განხორციელებაზე, მის კომპონენტებზე, მეთოდოლოგიაზე და მოსალოდნელ შედეგებზე.

ვინ აფინანსებს აღნიშნულ პროექტს?

- აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია გლობალური გარემოს დაცვის ფონდის **(GEF)** მიერ.

ვინ ხელმძღვანელობს აღნიშნულ პროექტს?

- საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი ბატონი **კარლო ამირგულაშვილი**, ხოლო გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის მენეჯერია ბატონი **ერსინ ესენი.**

პროექტის მენეჯერია კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი **სოფიკო ახობაძე**, პროექტის კორდინატორია აგრობიომრავალფეროვნების მართვის ექსპერტი **მარიკა კაპანაძე**, ხოლო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფინანსური მენეჯერია **ლევან წიტაიშვილი.**

რა არის პროექტის ძირითადი ამოცანა?

- ადგილობრივ დონეზე შემოსავლების ზრდის მხარდაჭერა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი მესხური ვაზისა და ხორბლის ჯიშების აგროწარმოებაში დანერგვის ხელშეწყობა.

- პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ვაზის, ღვინის და ხორბლის წარმოების დივერსიფიცირებას, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისა და მწარმოებლების შემოსავლების ზრდას და რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

რას ითვალისწინებდა თქვენი შეხვედრა?

- კონსულტაციებს სხვადასხვა დაინტრესებულ მხარეებთან, პროექტის მოსალოდნე შედეგებზე და თანამშრომლობის გზებზე.

- ჯერჯერობით ამ კითხვებით დავასრულოთ თქვენთან საუბარი.

- გისურვებთ წარმატებებს საპასუხიმგებლო მოვალეობის შესრულებაში.

მადლობა თქვენ და გაზეთ „ბორჯომს“.

ესაუბრა ნატალია მესხელი

14 აპრილი დედაენის დღეა

ჩემი ქართული – ჩემი სულის ნაწილია

სულ მინდოდა დამეწერა ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელზე, და ახლა, დედაენის დღესთან დაკავშირებით ამის მიზეზი და შესაძლებლობაც მარტივად მომეცა. რამდენი 45 წუთი მაქვს გატარებული ნანა მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, ახალდაბის საჯარო სკოლაში, ვინ დათვლის. ციფრებს მნიშვნელობა ეკარგება კიდეც, როდესაც წუთებში ბევრი სათქმელია თავმოყრილი და ის უსასრულობას ერწყმის. ქალბატონი, ყველა ღირსეული თვისებით შემკული, თავად პატრიოტულ ღირებულებებს ხელის გულზე გვიფენდა მოსწავლეებს. ნანა ხრიკული, სახელი და გვარიც კი ხშირად მისი ტრადიციული და შეუპოვარი ხასიათის მთქმელი მგონია.

გაგვიზიარეთ, როგორია ქართული ენის მიმართ თქვენი ემოციები?

- ხანდახან სიტყვები არ არის საკმარისი, შეაფასო ის, რაც გეძვირფასება, იმიტომ კი არა, რომ ასეთი სიტყვები არ არსებობს, არამედ უკვე თქმულა და ახალს ვერაფერს იტყვი... და მაინც, მე ასე ვიტყოდი: ,,ჩემი ქართული - ჩემი სულის ნაწილია.

წლებია, ყოველ ნაწარმოებს აცოცხლებთ მოსწავლეებთან ერთად. დაგვისახელეთ, 3 ნაწარმოები, რომელებსაც გამოარჩევთ?

- ძნელია ქართული მხატვრული ლიტერატურის შემოქმედთა შედევრებიდან გამოარჩიო მხოლოდ სამი ნაწარმოები, მაგრამ მაინც გამოვარჩევდი ილიას ,,ოთარაანთ ქვრივს“, ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ და ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“.

გაიხსენეთ პირველი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი? რა შეცვალა წლებმა?

- პირველი გაკვეთილი ჩავატარე თბილისის №61-ე სკოლის VII კლასში მაშინ, როცა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსთან ერთად სასწავლო პრაქტიკას გავდიოდი. დაუვიწყარია ეს დღე თავისი ემოციებითა და განცდებით. კლასში რომ შევედი თანაკურსელებთან და დამკვირვებლებთან ერთად გაკვეთილის ჩასატარებლად, ერთმა მოსწავლემ ჰკითხა მეორეს ჩვენი შესვლის მიზეზის შესახებ.

ახლაც მახსოვს ბიჭუნა დიდი შავი თვალებით, რომელმაც ასე უპასუხა:

- ნასწავლი მოსწავლე ქართული ენის გაკვეთილს გვიტარებსო.

რა თქმა უნდა ვღელავდი, თუ როგორ გავართმევდი თავს ახალი თემის ახსნას, გაკვეთილზე კლასის მართვას ქალაქელ ბავშვებთან. „ქალაქელი მოსწავლეები“ დიდი გულისყურით ასრულებდნენ ჩემს მითითებებს, თითოეულ აქტივობას. დამკვირვებელმა განმავითარებელი შეფასების შემდეგ ასე მითხრა, საერთდ არ გეტყობოდა მღელვარებაო.

წლების შემდეგ უფრო მეტად ვიგრძენი სიტყვის ძალა და უფრო მეტად შემიყვარდა ჩემი პროფესია.

ყველაზე უცნაური და საინტერესო შეკითხვა, რომელიც მოსწავლეს უკითხავს? აქვე, მოვისმენდით თქვენ პასუხს?

- მოსწავლეების შეკითხვები ამოუწურავია, მაგრამ ერთი კითხვის გახსენება ძალიან მახალისებს ხოლმე: - მასწავლებელო, ეს ძნელი გრამატიკა რამ შეგაყვარათო?!

მე გამეღიმა და ვუპასუხე: - სიყვარულივით მეწვია და თავი აღარ დამანება-მეთქი.

თქვენი საყვარელი ასობგერა და რატომ?

- ჰ და მასთან ე, ო ხმოვნები. ჰეი, ჰოი გამოსაფხიზლებელია, სათაყვანებელია. გამოსაფხიზლებელია: ჰოი, საკვირველობავ, როცა ღმერთს მივმართავთ და შვებას ვითხოვთ. ჰე, მამულო, - ასე მიმართავდა გრიგოლ ორბელიანი სამშობლოს. ჰეი, თქვენ, არაგველებო! - ამ ბგერებით ეთაყვანებოდა ლადო ასათიანი სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს და ა.შ.

თავისუფალი თემა, რომელსაც ახლა დაწერდით? რა იქნებოდა თემის მთავარი სათქმელი?

,,უძღები ძის“ ბიბლიურ იგავზე დავწერდი. ძმის საქციელი ყოველთვის მაკვირვებს. თემის მთავარ სათქმელს კი ლექსით გადმოვცემდი.

უძღები ძის ძმა

უძღები შვილი გაიქცა.
მამას ეგონა, დაიქცა.
შვილი უმამოდ წაიქცა.
ვაჟი რომ უკან დაბრუნდა,
მამას იმედი აესხა,
კვლავ უფრო მადლი ჩაესხა.
„შვილი უძღები“, ხო, კარგი...
ეს, მართლა, კი ვერ გავიგე;
ძმაო, ძმა რომ დაგიბრუნდა,
შენს ძმასთან რა ვერ გაიყვე?!
მამას რაც ჰქონდა, შენც მოგცა,
ცხოვრებაც კარგად აიწყვე.
აქამდე ჩუმად იყავი,
თავი მოგქონდა რწმენით.
უმადურობით შენივე სული
რყვენი!
ძმაო უძღები შვილის,
მშობლის ამაგი შეირგე,
თვალს ნუ არიდებ, იცოდე
(შეიცოდე)!
მშობლისთვის არ გემეტება?
შვილიც არ მოგცემს, იცოდე!

- მივულოცოთ, მშობლიური ენის დღე ბორჯომელებს და არა მარტო მათ, განსაკუთრებით კი ქართული ენის სიტყვის მცველებს, ქართული ენის მასწავლებლებს.

- ეს დღე განსაკუთრებულია სრულიად საქართველოსთვის. ქართველ ერს, და რა თქმა უნდა, ბორჯომის ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა მასწავლებელს ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ დღეს. ვუსურვებ ქვეყნის საზღვრების აღდგენას. დაე, სამყაროსთან ერთად ხმიანობდეს ქართული ენაც!

ესაუბრა იზა იანვარაშვილი

ცხენები თავისუფლად დაგულათბენ კოსტავას გაღში

2 აპრილს მეტად არასასიამოვნო ფაქტის თვითმხილველები გახდნენ კოსტავას სახელობის ახლადრეაბილიტირებულ პარკში მოსიარულე ბორჯომელები და ქალაქის სტუმრები.



პარკის ცენტრში თავისუფლად დანავარდობდა ორი ცხენი, რომლებიც გარდა იმისა, რომ საგულდაგულოდ დათესილ ბალახს მიირთმევდნენ, ფეხით სავალ ბილიკებზე და იქვე არსებულ გასართობ ატრაქციონების სიახლოვეს საკმაოდ შენიშნავდით ცხენების ფეკალიებს.

სამწუხაროდ, ქალაქის ცენტრში და მის განაპირა უბნებში ცხენების უპატრონოდ ხეტიალი ახალი მოვლენა არაა და ბევრგან შეხვდებით მათ მიერ დაბინძურებულ ტერიტორიებს.

საკითხავია, ვისია ცხენები? რატომ არის ასე უპატრონოდ გაშვებული ეს უწყინარი ცხოველები ქალაქის ბაღ-პარკებში?

განა ის არ გვეყოფა, რომ უპატრონო ძაღლები შიშის ზარს სცემენ გამვლელ-გამომვლელებს. ახლა მათ ცხენები დაემატა. საკითხავია, ვის ევალება ქალაქში ცხენების უთავბოლოდ ხეტიალის აღკვეთა. ნუთუ წერტილი არ უნდა დაესვას ასეთ განუკითხაობას, ნუთუ ცხენების მეპატრონეებს ჯარიმის გადახდაც არ ევალებათ.

გვიყვარდეს მშოლიური ქალაქი, - ეს მოწოდება გვესმის ყოველ დღე, მერედა ესაა მშობლიური ქალაქისადმი სიყვარული? კი მაგრამ, როდემდე გაგრძელდება ასეთი უპასუხისმგებლობა და თავგასულობა მშობლიური ქალაქისადმი? იქნებ იმ ადამიანებმა გაგვცენ პასუხი ვისაც ამ პირუტყვის მეპატრონეთა სამაგალითოდ დასჯა ევალებათ.

საკითხავია, ვისია ცხენები? ვიცით, რომ ამ ცხენებით საკმაოდ ღირებულ შემოსავალს იღებენ ტურისტული სეზონის პერიოდში. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ამონაგები თანხა, მაგრამ რატომ არ უნდათ ცხენების მოვლა, განა ცხენს ზამთარში დათბუნებული თავლა და ყუათიანი საკვები არ უნდა? სულ გვაინტერესებს ერთგული პირუტყვი, რატომ უნდა დახეტიალობდეს ქალაქის ქუჩებში და დაბა-პარკებში?!

წერილი ბაკურიანელებს

გავახაროთ წიწვოვანი ტყეები

გასულ წელს მსოფლიომ ბაკურიანი აღიარა და ადგილი მიუჩინა, როგორც უმაღლესი დონის კურორტს და სპორტული ღონისძიებების ადგილსამყოფელს. ბაკურიანი გამოარჩიეს სათხილამურო ტრასების მრავალფეროვნებით და თოვლის საფარის კარგი ხარისხითაც. ეს მაღალი შეფასება დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს ბაკურიანს. სამწუხაროდ, ბაკურიანში ისევ შენდება კერძო სასტუმროები და აგარაკები. (ხშირად უნებართვოდაც) კოხტა გორის ძირას აშენდა მრავალსართულიანი შენობები, რაც არც გარემოს უხდება და დიდი ხანია ამ ტერიტორიაზე ასეთი ტიპის მშენებლობები აკრძალულია.

ადრე ბაკურიანელებმა მივმართეთ ჩვენს ხელმძღვანელობას, რომ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ყოფილმა ბაზამ დიდ ფართობზე გადაწია საზღვარი პარკის ტერიტორიის ხარჯზე. ასევე სხვადასხვა ინდივიდებმა მიბაძეს მტაცებლებს და ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაესაკუთრნენ პარკის ფართობს. რა ვქნათ, ჩვენც მივბაძოთ? არავითარ შემთხვევაში, ღმერთმა დაგვიფაროს! სამაგიეროდ გაზაფხულზე შევიკრიბოთ და პარკში თავისუფალ ტერიტორიებზე ბევრი ფიჭვი დავრგათ და გავახაროთ.

პატივცემულ საზოგადოებას კი მინდა გავახსენო, რომ სტალინი კი იყო რთული და ამოუცნობი პიროვნება, მაგრამ ლიბანსა და აბასთუმანში ბევრი ფიჭვი და ნაძვი დაარგვევინა და ასეთ ჯანმრთელ გარემოში აგზავნიდა ხალხს სამკურნალოდ.

და ბოლოს, ბეტონის მრავალსართულიანი შენობების ნაცვლად უკეთესია შევინარჩუნოთ და გავამრავლოთ ღმერთისაგან ბოძებული წიწვოვანი ტყეები.

ოთარ გოცირიძე,
პენსიონერი, 88 წლის ღირსების
მედლის მფლობელი

წარმატება დიდი შრომის შედეგად მოდის

ახალგაზრდა, ნიჭიერი ქორეოგრაფი სალომე მაზმიშვილი ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილების“ დიდი ოჯახის ღირსეული წევრია, ამასთანავე, ის რამდენიმე წელია დედასთან, ანსამბლ „მერმისის“ ხელმძღვანელთან ქორეოგრაფ ნინო ყეინიშვილთან ერთად ბორჯომში ატარებს პატარა მერმისელებისთვის ცეკვის გაკვეთილებს. კვირაში ორი დღე კი ანსამბლ „მერმისის“ ტაძრისის ფილიალში მიეჩქარება, სადაც იქაურ ბავშვებს აზიარებს ცეკვის ხელოვნებას. სალომეს ბორჯომში რეპეტიციამდე ვეწვიე და მოცეკვავის, საინტერესო და ამავდროულად საპასუხისმგებლო პროფესიის შესახებ ვისაუბრეთ.

- თქვენი პირველი შეხება ცეკვასთან და პირველი შთაბეჭდილება, ქართული ცეკვის სამყაროში?

- პირველი შეხება იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, როდესაც დედა დამხმარე რეპეტიტორად მუშაობდა ქორეოგრაფი ედუარდ ვახტანგიშვილთან, სადაც ჩემი დაც ცეკვავდა და როდესაც ვხედავდი მის მოძრაობებს, მეც ვიმეორებდი. დღესაც, როდესაც დედას ეკითხებიან, რომ ვინ მასწავლა ცეკვა, ის პასუხობს, რომ მე მისთვის ცეკვა არ მისწავლებია. კარგად მახსოვს, რომ საბავშვო ბაღშიც ყოველთვის ქართულ ცეკვას ვცეკვავდი და უკვე საბოლოოდ ცეკვა ჩემი ცხოვრების ყოველდღიურობად და განუყოფელ ნაწილად გადაიქცა.

ქართულ ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილებში“ თქვენი პირველი ნაბიჯები და ემოცია, როდესაც გაიაზრეთ, არამარტო ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიო დონის ანსამბლის დიდი ოჯახის წევრი გახდით?

- 2015 წელს პირველად მე და დედა მივედით სუხიშვილებში. უდიდესი ემოციის ფონზე ბევრი რამ არ მახსოვს, თუმცა ჩამრიცხეს ნინო ნიკოლაიშვილის ჯგუფში, რომელიც პატარა სუხიშვილების სტუდიის დირექტორი გახლავთ. წლების მანძილზე სწორედ ქალბატონი ნინო იყო ჩემი პედაგოგი, ამავე ანსამბლში ვიყავი სტაჟიორი და თითქმის ოთხი წელია რაც ანსამბლ პატარა „სუხიშვილების“ სტუდიის პედაგოგად გამაფორმეს. ჩემთვის ძალიან დიდი მოულოდნელობა იყო ეს ყოველივე და რაც მთავარია, დიდი პასუხიმგებლობაც.

როგორ უთავსებთ სუხიშვილებს და ანსამბლ „მერმისს“ ერთმანეთს? თან თითქმის მეორე წელია, რაც ტაძრისში დაგემატათ ასევე საგაკვეთილო საათები?

- ჩემი ყოველი დღე საკმაოდ დატვირთულია, სუხიშვილებში ორშაბათი და ოთხშაბათი ვატარებ გაკვეთილებს, ასევე სამშაბათს და ხუთშაბათს ვარ ტაძრისის ფილიალში, ხოლო პარასკევი და შაბათ-კვირა დამატებით ანსამბლ „მერმისში“. ამჟამად ვმუშაობთ ახალ პროგრამაზე, რათა წლის ბოლოს ახალი პროგრამით წარვსდგეთ მაყურებლის წინაშე.

ტაძრისის ფილიალზეც მინდა რომ უფრო დეტალურად ვისაუბროთ. ზოგადად სოფელი ხშირად არის მოწყვეტილი მსგავსი სახის ფუფუნებას, რასაც ხელოვნება, ცეკვა და სიმღერა ჰქვია, რამდენად მონდომებულები არიან?

- აუცილებლად მინდა აღვნიშნოთ იქაური მოცეკვავეების და მათი მშობლების ერთსულოვნება. ჩვენ 2022 წლის 3 დეკემბერს შევუდექით მათთან მუშაობას და ჩვენდა საამაყოდ 2024 წლის 21 აპრილს იქნება მათი დებიუტი. მცხეთაში გამართულ ფესტივალზე ცეკვა სვანურითა და აჭარულით წარსდეგებიან. ამისთვის აქტიურად მიმდინარეობს მზადება და ასევე ანსამბლის საანგარიშო კონცერტზე ანასმბლ „მერმისის“ ბორჯომისა და ტაძრისის ფილიალის მოსწავლეები ერთმანეთის გვერდით ღირსეულად წარსდგებიან. მადლობა თითოეულ მშობელს გვერდში დგომისთვის, ერთსულოვნებისთვის იმისთვის,რომ ჩვენ სამი სოფლის მშობელთა მოთხოვნით უკვე მეორე წელია მათ შვილებს ვაზიარებთ ქართულ ცეკვას და ანალოგიურად ვგრძნობთ მათი მხრიდანაც მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ სოფელია და თითოეული მათგანი ფიზიკურად შრომობს, მათთვის შვილების განათლება ყველაზე პრიორიტეტულია.

სალომე, რა არის ის, რაც „სუხიშვილებმა“ გასწავლეს და რასაც ყოველთვის ითვალისწინებთ?

- „სუხიშვილებმა“ მასწავლეს, რომ პედაგოგს უნდა გააჩნდეს ფსიქოლოგიური გამძლეობა, მოთმინება, დიდი ნერვები და რაც მთავარია, მათ მიერ გაკვალულ გზას არ უნდა გადავუხვიო.

რაც შეეხება დედასთან ერთად მუშაობას, რამდენად საპასუხისმგებლოა?

- დედასთან მუშაობა საკმაოდ რთულია, რადგანაც არის მომენტები, როდესაც ვერ ვთანხმდებით რაღაც კონკრეტულზე, თუმცა, საბოლოოდ მაინც ყველაფერი იდეალურად გამოდის და სწორედ ამისთვის ღირს მის გვერდით ყოფნა.

თქვენ ცოტა ხნის წინ დაოჯახდით, რამდენად მნიშვნელოვანია, თქვენთვის, აქტიური, მოქმედი მოცეკვავისთვის როგორც მეუღლის, ასევე ოჯახის წევრების გვერდში დგომა?

- უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნამდვილად ოჯახის წევრების გვერდში დგომას. ჩემი მეუღლე სანდრო ჩაჩანიძე თითქმის 7 წელი ცეკვავდა და მისთვის ნაცნობია მოცეკვავის ყოველდღიურობა. მოთმინებითა და შეგნებით უდგება ჩემ ყოველდღიურობას, პარასკევობით საკმაოდ გვიან მიწევს რეპეტიციისთვის ჩამოსვლა და უმეტესწილად ვამთავრებთ 10 საათზე. ყოფილა შემთხვევა, რომ უფრო გვიანაც დაგვისრულებია რეპეტიცია. ამიტომაც, რომ არა მეუღლის გვერდში დგომა და მხარდაჭერა, ნამდვილად ვერ შევძლებდი. მთავრია, იცის, რომ ცეკვა ჩემთვის ყველაფერია. მადლობა სანდროს მშობლებსაც რომ საყვარელ საქმეში ყველანაირად ხელს მიწყობენ.

სალომე თქვენ ჯილდოზეც რომ ვისაუბროთ, რომელიც წილად გხვდათ?

- სერგო ზაქარიაძის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის ქორეოგრაფიული განყოფილების კურსადმთავრებულიც მეც ვარ, ორი წლის წინ აღნიშნული კოლეჯის ,,წარმატებული ზაქარიაძელების“ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა და სწორედ იქ გადმომცეს ჯილდო. აღნიშნულ დაჯილდოებაზე ყველაზე პატარა ასაკის გამარჯვებული მე გახლდით. ეს იყო ჩემთვის უდიდესი მოტივაციაც და რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობაც.

აუცილებლად მინდა გკითხოთ დედაზეც. ქალბატონმა ნინომ, 8 მარტს წარმატებულ ხელოვან ქალთა დაჯილოდების ცერემონიალზე თამარ მეფის ორდენი მიიღო და რომლის დაჯილდოებაც „არტ ჰოლში“ გაიმართა, რამდენად ემოციური იყო თქვენთვის.

- დაჯილდოებაზე ჩვენი ანსამბლი ერთი ცეკვით ქალ-ვაჟთა აჭარულით წარსდგა. უდიდესი ემოცია იყო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის, რომ დედა ნამდვილად იმსახურებდა ამ ჯილდოს. ჩვენ მოცეკვავეებს აღნიშნული ცეკვა ბევრჯერ აქვთ შესრულებული, თუმცა იმ დღეს სულ სხვა ენერგია და მუხტი მოდიოდა მათი თითოეული მოძრაობიდან. აღნიშნულ დაჯილდოებაზე 12 ქალბატონი იყო წარდგენილი ჯილდოზე და ჩვენი მოცეკვავეების მხრიდანაც ეს იყო ერთგვარი აღიარება იმისა, რომ ისინი მხოლოდ ბორჯომს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მთლიანად რეგიონს. იყო უდიდესი ემოციები, ცრემლები და დედას დამსახურებული ჯილდო, რომელიც კიდევ მეტი მოტივაციაა ჩვენი ანსამბლისთვის, რომ უფრო მეტი გავაკეთოთ.

სალომე თუ გაიხსენებთ ყველაზე საპასუხისმგებლო გამოსვლას, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ?

- საერთოდ გეტყოდით იმას, რომ ჩვენთვის ჩვეულებრივ კონცერტზე გამოსვლაც კი უდიდესი პასუხიმგებლობაა, თუმცა გავიხსენებ 2023 წლის 2 დეკემბერს საჩხერეში სერგო ზაქარიაძის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ ჩატარებულ ფესტივალ-კონკურსს, სადაც თუშური ცეკვა შევასრულეთ და პირველი ადგილიც დავიმსახურეთ. ყველაზე სანერვიულო და დასამხსოვრებელი ეს დღე იყო ჩემთვის. იქ იყვნენ აღნიშნული კოლეჯის ხელმძღვანელობა, ჩემი პედაგოგები და ეს იყო ერთგვარი შეჯამებაც და ის, თუ რამდენად ღირსეულად წარვადგენდი ჩემ თავს და ვფიქრობ, რომ გამიმართლა.

გარდა იმისა, რომ ცეკვის პედაგოგმა ცეკვა ასწავლოს, კიდევ რა ევალება მას?

- პირადად მე, ვცდილობ, რომ თითოეულ ჩემ მოცეკვავეს მივცე თავისუფლება, ვითვალისწინებ იმას, თუ პირადად მათ რისი გაკეთება სურთ. ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც მთავარია პედაგოგისთვის არის ის, რომ თითოეულ მოცეკვავეში დაინახოს ინდივიდუალიზმი. ყოველთვის მახსოვს პირველ კურსელთა თვალები, რომლებსაც ძალიან მკაცრი ვგონივარ. თუმცა, არის ის მომენტი, რომ რაკიღა იციან, რომ მე ასევე სუხიშვილების ანსამბლის პედაგოგი ვარ მაქსიმალურად ცდილობენ, რომ თავი მომაწონონ. გვაქვს ხოლმე წამახალისებელი აქტივობები, რომელიც დიდ მოტივაციას აძლევს ახალბედა მოცეკვავეებს. ვფიქრობ რომ ასეთი მიდგომები საჭიროა და საერთოდაც, დიდი წარმატება ხომ დიდი შრომის შედეგად მოდის, რაც მომავალმა მოცეკვავეებმა ბავშვობიდან უნდა იცოდნენ. ქართული ცეკვა ჩვენი ეროვნული სიამაყეა. მიმაჩნია, რომ მისი არსი და ღირებულება ყველა ქართველმა უნდა განიცადოს.

საუბრის ბოლოს კი აუცილებლად მინდა გკითხოთ, რას ურჩევთ იმ ახალგაზრდებს, ვისაც ცხოვრების მთავარ საქმედ ცეკვა აქვს არჩეული, რა უნდა გაითვალისწინონ?

- მომავალმა მოცეკვავემ ბოლომდე უნდა გაითავისოს, რომ ცეკვა დიდ გამძლეობას და გამბედაობას მოითხოვს. ამ ორი ჭეშმარიტების გარეშე ყოვლად შეუძლებელია, იყო სრულყოფილი ადამიანი.

ესაუბრა ნატო მელიქიძე

აიმაღლეთ პროფესია საზღვარგარეთ

თუ ხარ საჯარო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებული პირი უკვე ერთი ნაბიჯით ახლოს ხარ სახელმწიფო საგრანტო პროგრამასთან.

„ათეა“-ს პარტნიორი-სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი გთავაზობს მოიპოვო დაფინანსება და საზღვარგარეთ აიმაღლო კვალიფიკაცია დაკავებული თანამდებობით დაკისრებული საქმიანობის შესაბამისი შინაარსის პროგრამაზე.

იჩქარე

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 30 აპრილი.

დეტალური ინფორმაცია იხილე აქ: https://iec.gov.ge/პროგრამები/2024-2025-სასწავლო-წელი/Qualification-upgrades -2024-2025

გაიარე კურსი საზღვარგარეთ და დაუბრუნდი შენს საქმიანობას გაუმჯობესებული თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით.

,,ათეა“ გისურვებთ წარმატებას! სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი -LEPL International Education Center

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG)

გსურს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება სამაგისტრო პროგრამაზე?

მზად ხარ გამოიყენო შენი განათლება შენივე ქვეყნის განვითარებისთვის?

ნუ გაუშვებ ამ შანსს ხელიდან!!!

,,ათეა“-ს პარტნიორი - სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი გიწვევს ჩაერთო სახელმწიფო საგრანტო პროგრამაში - ,,უცხოეთში განათლების მიღების ხელშეწყობა რეგიონების განვითარებისთვის 2024-2025“!!!

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 30 აპრილი (23:59 სთ-მდე თბილისის დროით)

დეტალური ინფორმაცია იხილე აქ: https://shorturl.at/BFOS0

არ გეჩვენება!!! პროგრამა ნამდვილად ითვალისწინებს სწავლის დაფინანსებას და საქართველოს მუნიციპალიტეტში დასაქმების პერსპექტივას!!!

ისწავლე და დაუბრუნე შენი ცოდნა საქართველოს!

,,ათეა“ გისურვებთ წარმატებას!

"სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი - LEPL International Education Center

სტუმრად საბავშვო ბიბლიოთეკაში

საბავშვო ბიბლიოთეკა მასპინძლობდა №1 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეებს (დამრიგებელი **მედიკო გოგოლაძე**).

მოსწავლეებს წაუკითხეს იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოები ,,ელამი კატო“, (ორგანიზება გაუკეთა **ნაირა იჩქიტიძემ**), რომლის მთავარი მოქმედი პირი, თუ როგორ დასცინოდა ელამ ამხანაგს, მაგრამ როდესაც თვითონ ჩავარდა განსაცდელში, დახმარების ხელი იმან გაუწიოდა, ვისაც დასცინოდა.

ბავშვებს შეახსენეს სიკეთის ძალა და მოსწავლეებმა ჩამოთვალეს აფორიზმები სიკეთეზე, მადლზე, განუმარტეს თუ რა ძალა აქვს მას, სიკეთე და მადლი არ იკარგება შეახსენეს ფრაზები ბიბლიიდანაც.

საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა **ნაირა ამანათაშვილმა** ისაუბრა თანადგომასა და სიკეთეზე.

მოსწავლეებს გავესაუბრეთ, ვის იცნობდნენ ქართველი საბავშვო მწერლებიდან, ვის რა მოთხრობა ჰქონდა დაწერილი, შევახსენეთ, რომ ბიბლიოთეკა აუცილებელია ბავშვის ცოდნის დონის და თვალსაწიერის ასამაღლებლად, მადლობა ქალბატონ კლასის ხელმძღვანელს **მედიკო გოგოლაძეს** საინტერესო საუბრისათვის. თითქმის ყველა ბავშვი გახდა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი.

ნანული სალაღაია,
ბიბლიოთეკების ღონისძიებების ორგანიზატორი.

ეკოლოგიური აქტივობები

ბაკურიანის საჯარო სკოლის ეკოკლუბი „Eco“ ლოგიკა ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაციასთან ერთად ბორჯომის მუნიციპალიტეტში ატარებს სასკოლო კონკურსს სახელწოდებით „”გარემო ნარჩენების გარეშე“”. ამ პროექტის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ახალდაბის, კორტანეთის, ყვიბისის, ასვე ბორჯომის №1, №4 და №6 საჯარო სკოლებში.

შეხვედრების ფარგლებში ეკოკლუბის წევრებმა გარემოს დაცვითი საკითხებით დაინტერესებულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დეტალურად გააცნეს ინფორმაცია პროექტის შესახებ. მათი მიზანია მაქსიმალურად დააინტერესონ ბავშვები, რათა ისინი ჩაერთონ კონკურსში.

კონკურსში ოთხი მიმართულებაა, ესენია:

ნარჩენების მეორეული გამოყენებით შექმნილი ნამუშევრები.

მომავლის ინიციატივა (სასკოლო ეკოკლუბებისათვის, რაც გულისხმობს მომავალი თანამშრომლობის იდეების წარმოდგენას)

ნახატი „ერთად დედამიწისათვის”.

ესსე „მე და გარემო“.

ამავე კონკურსის ფარგლებში, „გარემო ნარჩენების გარეშე“, იწყება პლასტმასის ნარჩენების შეგროვება. აქტივობის სლოგანია-თუ გრჩება პლასმასი, რომელიც უნდა გადააგდო, ნუ გადაყრი, შეაგროვე!

22 აპრილამდე ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეაგროვოს პლასტმასის ნარჩენები და 22 აპრილს მიიტანოს ბაკურიანის სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც იქნება მანქანა, რომელიც მიიღებს მოგროვილ პლასტმასს.

დასამუშავებლად მომზადებული პლასტმასის ნივთები უნდა იყოს სუფთა (წყალი გადაავლეთ და საკვების ან სასმელის ნარჩენებისაგან გაათავისუფლეთ), ბოთლი არ უნდა შეიცავდეს სითხეს, შეიძლება მოიხსნას სახურავები ან ხუფები და ცალკე მოთავსდეს იგივე ყუთში, დაიჭექყოს ყველა ბოთლი ან სხვა ნივთი, სანამ ყუთში მოთავსდეს, რათა რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაიკავოს.

პლასმასის პროდუქტების უმეტესობას აქვს წარწერები ან ნიშნები ციფრებებით თუ რა პლასტმასით არის დამზადებული. წარწერებს ეტიკეტის ქვედა ნაწილში იპოვით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეგროვდეს მხოლოდ 1 ან PET (PETE) და 2 ან პოლიეთილენი - წყლისა და გამაგრილებელი სასმელების ბოთლები, კვერცხის კონტეინერები, საჭმლის ყუთები, შამპუნების, თხევადი საპნის, თხევადი სარეცხი საშუალებისა და სანმენდი საშუალებების ბოთლები.

ერთად გავუფრთხილდეთ გარემოს.

რუსუდან სხირტლაძე

გმადლობთ გულისხმიერებისა და თანადგომისათვის

მიხარია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტს ყავს საქმიანი და კეთილი ადამიანები - მერი, ბატონი **ოთარ არბოლიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი - **დავით ზაალიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გიორგი ფერაძე**, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი - **მაკა მანჯავიძე**.

მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ მათ უდიდესი თანადგომისათვის, რეაგირებისათვის. დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო იმ ადამიანურ ფაქტორებზე, რომელიც ამ ადამიანებს ახასიათებთ. გმადლობთ თქვენი უსასრულო სიკეთისა და თბილი დამოკიდებულებისათვის. გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს და მშვიდობიან ქვეყანაში მადლიერებით სავსე ადამიანების გარემოცვაში ცხოვრებას.

კიდევ ერთხელ მადლობა თქვენ, გაჭირვებაში მყოფი ადამიანის გვერდში დგომისათვის.

პატივისცემით ციცო მოდებაძე

ბორჯომის №1 და №2 ჩამომსხმელი ქარხნების დირექციებსა და მუშა-მოსამსახურე პერსონალის მიმართ მინდა, ჩემი ოჯახის სახელით მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო და საჯაროდ გადავუხადო მადლობა იმ უდიდესი თანადგომისა და ყურადღებისათვის, რომელიც ჩემი ოჯახის მიმართ გამოიჩინეთ, ყველას იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რაც თქვენ გაგვიწიეთ. ყოველთვის სიხარულით და დიდი იმედებით ვაღებთ სამსახურის კარებს, სადაც გვხვდება მუდმივად გაღიმებული და სიყვარულით აღსავსე თვალები. კიდევ და კიდევ მადლობა თქვენი უსაზღვრო თანადგომისა და სიყვარულისათვის.

ასეთი ქმედებები, რომელიც თქვენ განახორციელეთ, იშვიათია, მიყვარხართ და მეიმედებით!

პატივისცემით ციცო მოდებაძე

ვულოცავთ!

ჩვენი დედა-დედოფალი იუბილარია

თამრიკო დათუნიშვილს, - სიცოცხლის სადარაჯოზე 46 წლის მანძილ ზემდგომ ერთგულ გუშაგს, ყველა ჭირისა და ლხინის თანაზიარს, გამორჩეულ პროფესიონალს და პასუხისმგებელს დაკისრებული მოვალეობისადმი, კეთილშობილ და უღალატო მეგობარს, ქალაქის სილამაზეს და სიყვარულს, ხუთი შვილის აEღმზრდელ დედას 70 წელი შეუსრულდა.



უდიდესი სიამაყის განცდაა გერქვას მისი შვილი... უყურებდე მის ყოველდღიურ ყოფით რუტინას, მის უსაზღვრო ენერგიულ ცხოვრებას და უფალს ლოცავდ არ შეღაღადო: მადლობა სიცოცხლისათვის, მადლობა ამ დიდებულ ქალბატონს დედობისათვის, ეს სიკეთე და მადლი არ მოგვიშალო ღმერთო.

შენი ოჯახი

ფეხბურთი

გიორგი ზარია ,,ქაირათში“ ჩაირიცხა

დავით ზარიას ოჯახი გალიდანაა, რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპვას ძლივს გადაურჩა. ბორჯომში ყოფილ სანატორიუმ ,,მთის ხეობაში“ მისცეს თავშესაფარი. 1997 წელს ოჯახს შეეძინა ვაჟი, რომელსაც გიორგი დაარქვეს. პატარა გიორგი ფეხბურთის დიდი მოყვარული გაიზარდა, ექვსი წლიდან ჯუნგლი ქართველიშვილის გუნდში თამაშობდა, რომ წამოიზარდა, დათო ვარდიაშვილთან განაგრძო ვარჯიში. 10 წლის გიორგი თბილისში 35-ე ფეხბურთელთა სკოლაში წაიყვანეს და არველაძის გუნდში ჩაირიცხა და წარმატებული თამაშისათვის სტიპენდიაც დაენიშნა.

გიორგიმ ფეხბურთის პროფესიული კარიერა ქართულ კლუბ ,,სასკოში“ დაიწყო. 18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელი ჩაირიცხა თბილისის ,,დინამოში“ მიიწვიეს, სადაც ხუთწელიწადნახევარი ითამაშა და გუნდთან ერთად საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი გახდა, ორჯერ ეროვნული თასი და სუპერთასი მოიგო.

ბოლო სამი წლის მანძილზე გიორგი ბათუმის ,,დინამოს“ ღირსებას იცავადა. შარშან მან 39 მატჩში იასპარეზა და 9 გოლი გაიტანა, 5 საგოლე გადაცემა შეასრულა და გუნდის ჩემპიონობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

სხვათაშორის გიორგი ზარიამ 2021 წელს შემოდგომაზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში სადებიუტო თამაში ესპანეთთან გასვლით მატჩში ჩაატარა და სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა.

ბათუმის ,,დინამოდან“ ყოფილი ნახევარმცველი გიორგი ზარია ყაზახეთის საფეხბურთო კლუბ ,,ქაირათის“ მოთამაშე გახდა და კონტრაქტი 2025 წლის ბოლომდე გააფორმა.

26 წლის ქართველი ნახევარმცველის ტრანსფერზე ინფორმაცია კლუბის ვებგვერდი ავრცელებს. სხვათაშორის ტაშკენტის ,,ქაირათში“ ,,აქტობედან“ გადავიდა ლუკა გადრანი, რომელიც სეზონის საუკეთესო მცველად დაასახელეს და ყაზახეთის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ახლა გიორგი ,,ქაირათში“ ლუკა გადრანთან ერთად ითამაშებს. წარმატებებს ვუსურვებთ გიორგის და ლუკას, ვინძლო სულ მალე ეს ფეხბურთელები საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშიც მალე ვიხილოთ.

ვალერიან ლომიძე

ტურნირი კალათბურთში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით კალათბურთის ტურნირში ჩემპიონატი დასრულდა.

ფინალში ერთმანეთს ბორჯომის მუნიციპალიტეტის და სასპორტო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა სასპორტო სკოლის გამარჯვებით დასრულდა.

ჩემპიონატში ექვსი გუნდი მონაწილეობდა, საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს შორის I ადგილზე - 1500 ლარი; II ადგილზე გასულს - 1000 ლარი; ხოლო III ადგილზე გასულს 500 ლარი ხვდა წილად.

ომარ აბრამაშვილის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ომარ ყაპრელიშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20. WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

პოეზიის კუთხე

გმადლობ შენ, უფალო!

მადლობა უფალო, რათა გამაჩინე,
მადლობა ნარწყენდას რომ გადამარჩინე,
გმადლობ, რომ ტანჯვისთვის მე არ გამიმეტე,
მმოძღვრავდი, მაძლევდი ცხოვნების იმედებს.
გმადლობ, დიდებულო, რომ ჩემი გულისთვის
ხორციც კი შეისხი, რათა დამემგვანო,
მასწავლე, რომ უნდა ვიზრუნო სულისთვის,
ხორცზე ვიბატონო, ღორს რომ არ ვემსგვანო.
და კაცთა მზაკვრობით დაცლილი ხდობისგან,
ჯვარზე გაეკარი, ცოდვები შემსჭვალე,
გაგვანთავისუფლე ვნების მონობისგან,
ნსნის გზა დაგვანახე, ცხოვრება შეცვალე.
რომ გადამარჩინე ეშმაკის ამ ბადეს,
და კიდევ გმადლობ, რომ ქართველად დამბადე,
სადაც ქრისტესათვის სიკვდილზე ფიქრობენ
და მის სიყვარულში ერთმანეთს ჯიბრობენ.
ამას ვინ შესძლებდა შენს გარდა ძლიერო,
მიყვარხარ, მინდა ვთქვა მეც სამაგიერო,
მიიღე ეს ძღვენი კეთილო მამაო,
რომ ჩემი ცხოვრება არ იყოს ამაო.

ოლიკო ლომიძე.

ცხრა აპრილს!

თავისუფლება ეჭირა კბილით -
ცხრა აპრილს, რისხვით ძლივსლა
სუნთქავდა,
სისხლისფერ დროშას ეტირა
სიმწრით,
სიკვდილს კი ბოლო აღარ უჩანდა...
მდუმარე არეს უნდოდა ბიძგი,
სწყუროდა გმირი ისევ ეხილა,
მზეს კიდევ ერთხელ წაართვა ღიმი,
გაზაფხულს მხრებზე გადაეფინა.
ჰკა მაგას! - რარიგ ყიოდა მტერი,
შეუპოვრობა ჩვენი წილია
და დაგვამარცხა მაშინაც ვერვინ
ამის თავდები ცხრა აპრილია!
ტიტებს ელდისგან წაერთვათ ფერი,
სისხლი გათეთრდა ძარღვში
ღვთიური,
სადარაჯოზე ერის და ბერის
დაღვრილი წვეთიც არი თვით უფლის.
თავისუფლება ვიპოვეთ - არა!
იგი სიცოცხლით გამოვისყიდეთ,
დღესაც დაუშვით დროშები, რადგან
დიდება გმირებს! ნათელი გმირებს!
მკვდრის მზე ცის ტატნობს ისევ
შეფერავს,
არდავიწყებით მთვრალია სივრცე,
აპრილმა დარდით თმები შევერცხლა:
თავისუფლებას გულმკერდზე
გვიწერს.

ნათია ჯიქურაშვილი

შენც ააშენე ერთი ჭაქარი

არწივს რა უნდა და ანდაც ლომსა გალიაში,
ან ხმალს რა უნდა ქარქაშში, მიჩვეულს ომსა,
ვაჟკაცს რა უნდა, წელზე ერტყას ხმალი ფრანგული,
თუ ვერ დაიცვა თავის სამშობლო, მიწა-მამული.
რა მოხელეა, მკლავი გებას გრდემლივით მტკიცე,
როცა სვავები გაუმაძღარნი გლეჯენ შენს მიწებს.
რა მოხელეა, ცხენი გყავდეს, მორახტული, ანდაც უბელო,
თუკი ვერ შეძლებ, შენს ნაწამებ მამულს უშველო,
ან შენ ვინა ხარ, რისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე,
არ გაქვს უფლება, რომ იცხოვრო ვიღაცის ვალზე.
სანამ იცოცხლებ, არ იარო ეშმაკის გზაზე.
და რომ მოკვდები ვალმოხდილი წადი იმქვეყნად,
რომ შენს ნაშიერს არ შეაგინონ, გამჩენის დედა.
და თუ დაგადეს საფლავზე ქვა, და იესოს ჯვარი,
არ დააწერონ - დაიბადაო, თურმეო მკვდარი.

ჯემალი ბიბილური

ნუთუ გამიზაფხულდება?

გაზაფხული შემოსულა,
ჩემთვის მაინც ზამთარია,
ვიღაცისთვის მზე კაშკაშებს,
ჩემს გულში კი ავდარია.
ირგვლივ მხოლოდ კარგი ვთესე,
ამერია დავთარია,
საკუთარი თავის მეტი
არაფერი მაბადია.
რა ვუყო თუ მლიქვნელობა
ვერ გამიხდა საგზალია?
ბედისწერამ მაინც ცხვირწინ
მომიკეტა ცხრა კარია.
იმათა აქვთ დაფასება,
ვინც სხვას თვალში თითებს ასობს,
“დამდაბლდიო” შეგონება,
მგონი მარტო ჩემს თავს ახსოვს.
მაინც რწმენა იმედს მაძლევს
და ბოლომდე უნდა გავძლო,
თვით უფალი მაიძულებს
სიმართლე გამიხდეს სარჩოდ.
რა ვქნა, თუკი ვინმეს გულს ვტკენ
და სიმართლეს ვაღიარებ,
თუ სიყალბეს არ მომცხებენ,
რაცა ვარ მას მაღიარებს.
შემოდგომა წუთებს მითვლის,
ისიც წავა გაფრინდება,
ამ ულმობელ სამყაროში
ნუთუ გამიზაფხულდება?

იზო სარქისიანი.

მიყვარხარ ჩემო სოფელო!

დღე არ გავა, არ ვინატრო
ჩემი სოფელი,
ჩემი მიწა, ჩემი წყალი,
ჩემი მშობელი.
ჩვენი მიწური სახლ-კარი,
ერდო და ბანი,
თივის ლოგინი, ბალიში,
ლეიბ-საბანი.
დღე არ გავა, არ ვინატრო
ჩემი კარგები,
ჩემი სულტკბილი მშობლები,
ჩემი და-ძმები.
ჩემი სოფლის დიდ-პატარა,
გულთბილ-გულწრფელი,
ახალგაზრდა თუ ხნიერი,
ყველა ქუნცელი.
ჩემი ქუნცის ეკლესია,
მისი ზარები,
შესასვლელ-გამოსავლელში,
სალოცავები.
მიყვარხარ ჩემო სოფელი,
ჩემო აკვანო,
ძვირფასზე უძვირფასებო,
სულ სათაყვანო.
შენ ჩემი ფსევდონიმი ხარ,
ჩემი მეობა,
მუდამ ჩემი სიამაყე,
ჩემი მხნეობა,
სანამდე ვიცოცხლებ,
ლექსებად დაგეკონები,
მოვკვდები და მკვდარიც
გულში ჩაგეკონები.
მიყვარხარ ჩემო სოფელო,
ჩემო აკვანო,
ჩემო მზეო, ჩემო მთვარე,
ჩემო ლამპარო.

გურამ ქუნცელი-ივანიძე.
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.